ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1927 წლის ოქტომბრის 1-ლი

№ 17

ვანყოფილება პირველი

ა/კ. ც. ა. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემული.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ტფილისი

შინაარსი:

მუხ. 195. მშრომელთათვის შრომის საშიშროებისა და მავნებლობის ხასიათის ნებადვით დადგენილი კლასიფიკაციის შეცვლის შესახებ.
„ 196. ამბ. ლუკაშინის სახელწოდეგ საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობის გაგან. განთავისუფლების შესახებ.
„ 197. ა/კსფსრ კანონდებულებათა გაუქმების შესახებ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო.
„ 198. სამრეწველო საწარმოოთათვის შინა-განრიგების წესების შემოღების შესახებ.
„ 199. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხ. „ვ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.
„ 200. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-13 მუხ. შეცვლის შესახებ.
„ 201. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის დებულების შეცვლის შესახებ.
„ 202. საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების შესახებ.
„ 203. ა/კსფსრ-ში წყალთა მეურნეობის მმართველი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.
„ 204. სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების შესახებ.
„ 205. ა/კსფსრ-ში წყალთა მეურნეობის ორგანოების მიერ მოსაწყობ ნაგებობათა პროექტებისა და ძიებათა და გამოკვლევათა პროგრამების განხილვისა და დამტკიცების წესის დებულების შესახებ.
„ 206. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20%-ით შემცირების შესახებ.
„ 207. მინქაფის გადაზიდვისათვის არსებული ადგილობრივი ტარიფის მოქმედების ვადის განგრძობის შესახებ.

საქართველოს სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა.
მთავლიტი № 83. დაიბეჭდა 800.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 65 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლის სექტემბრის 6.

195. მშრომელთათვის შრომის საშიშროებისა და მავნებლობის ხასიათის მიხედვით დადგენილი კლასიფიკაციის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს 1927 წლის ივნისის 23-ის თარიღისა და 192 №-რის დადგენილება მშრომელთათვის შრომის საშიშროებისა და მავნებლობის ხასიათის მიხედვით დადგენილი კლასიფიკაციის შეცვლის შესახებ.

ა/კსფსრ-ის შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

დადგენილება № 192 სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოსი

1927 წლის ივნისის 23.

მშრომელთათვის შრომის საშიროებისა და მავნებლობის ხასიათის მიხედვით დადგენილი კლასიფიკაციის შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭო ადგენს:

1. მშრომელთათვის შრომის საშიშროებისა და მავაებლობის ხასიათის მიხედვით 1925 წ. გამოცემული კლასიფიკაციის მე-II სფეროს მე-II დარგი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

	დარგი II მომარაგება.		საშიშროების კატეგორია.
221	ჯგუფი I.	საწყობი და მაღაზია.	
2211	ქვე-ჯგუფი 1.	საწყობი და საბითუმო მაღაზია	II.
2211-1		მარცვალსაცავი (ელევატორი)	
2211-2		საცივარი	

ეროვნული ბიბლიოთეკა

2211-3 სურსათისა, საქონლისა, მასალისა, ნაკეთობისა და სხვ. საწყობი.
2211-4 ნავთის დუქანი.
2211-5 საბითუმო მაღაზია.
2212 ქვე-ჯგუფი 2. ცალობითი-საბითუმო და ცალობითი-სავაჭრო. საწარმო (გარდა ნავთის დუქნისა)
2212-1 სავაჭრო კონტორა.
2212-2 ცალობითი და ცალობითი-საბითუმო მაღაზია.
2212-3 დუქანი, ყუთი, ტაბაკი.

შენიშვნა. საბითუმო-ცალობითი და ცალობითი ვაჭრობის საწარმოსთან არსებული საწყობი საშიშროების 1 კატეგორიას მიეკუთვნება.

2213 ქვე-ჯგუფი 3. ასაფეთქებელი და განსაკუთრებით ცეცხლსაშიში ნივთიერების საწყობი და საბითუმო მაღაზია. III.
2213-1 თოფისწამლის საწყობი.
2213-2 პიროტეხნიკური ნაკეთობის საწყობი და საბითუმო მაღაზია.
2213 3 სხვა ასაფეთქებელი ნივთიერების საწყობი.
2213-4 ბენზინისა და ნავთის სხვა მსუბუქი პროდუქტების საწყობი და საბითუმო მაღაზია.
2213-5 ეთერის ზეთის საწყობი და საბითუმო მაღაზია.
2213-6 ფოსფორის საწყობი.
222 ჯგუფი II საკრედიტო ბრუნვა.
2221 ქვე-ჯგუფი 1. ლომბარდი.
2222 ქვე-ჯგუფი 2. ბანკი და სხვა საკრედიტო დაწესებულება.
2222-1 ბანკი.
2222-2 შემნახველ-გამსესხებელი სალარო.
2222-3 გამსესხებელი სალარო.
2222-4 საურთიერთო ნდობის საზოგადოება.
2222-5 საზარაფო დუქანი.

სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **ნემჩენკო.**

პასუხისმგებელი მდივანი **კუზმინი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1577 №-ში 1927 წ. სექტემბრის 15-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 47 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

196. ამხ. ს. ლ. ლუკაშინის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავ-თავმჯდომარის თანამდებობისაგან განთავისუფლებისა და ამხ. მ. ნ. სმირნოვის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. რადგანაც ამხ. სარქის ლუკიანის ძე ლუკაშინი არჩეულია ა/კსფსრ-ის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად, განთავისუფლებულ იქნეს იგი ა/კსფსრ-ის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობისაგან.

2. ა/კსფსრ-ის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარედ დანიშნოს ამხ. მიხეილ ნიკოლოზის ძე სმირნოვი.

ა/კსფრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1578 №-ში 1927 წ. სსექტემბრი16-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

197. ა/კსფსრ-ის კანონდებულებათა გაუქმების შესახებ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების სამოქმედოდ შემოღების გამო.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1927 წლის აპრილის 2-ს დამტკიცებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დებულების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 17, მუხ. 188) სამოქმედოდ შემოღების გამო—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს—გაუქმებულ იქნეს:

1. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წ. მაისის 27-ის თარიღისა და 16 №-ის დადგენილება—სასოფლო მეურნეობის ზოგიერთი დარგის შემოსავლისა და არა-სამიწადმოქმედო შრომის საშოვრის 1926-27 წლის ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახით დაბეგვრისაგან განთავისუფლებისა, მემინდვრეობისა და ოთხფეხი საქონლის შემოსავლიანობისა და სხვა საშემოსავლო წყაროების საშუალო ნორმების დაწესებისა, 1926-27 წ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაუბეგრავი მინიმუმისა და ამ გადასახადის გასტუმრების ვადების დაწესების შესახებ (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 5, მუხ. 665).

2. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის აგვისტოს 5-ის თარიღისა და 27 №-ის დადგენილება—არა-სამიწათმოქმედო საშოვართა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წესისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთების ცხრილისა და შემოსავლიანობის ნორმების უცვლელად დატოვების შესახებ (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 9, მუხ. 699).

3. ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის ოქტომბრის 14-ის თარიღისა და 37 №-ის დადგენილება—სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკის ნორ-ბაიაზეთისა და დელიჯანის მაზრის მოსახლეობის 1926-27 წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგვრის წესის შესახებ (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 12, მუხ. 749).

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წლის სექტემბრის 5.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1579 №-ში 1927 წ. სექტემბრის 17-ს.

დადგენილება № 66 აკსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა

1927 წლის სექტემბრის 7.

198. სამრეწველო საწარმოთათვის შინა-განრიგების სანიმუშო წესების შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე „სამრეწველო საწარმოთათვის შინა-განრიგების სანიმუშო წესები", რომელი წესებიც დამტკიცებულია სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1927 წლის ივლისის 19-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარიღითა და 185 №-ით და გამოქვეყნებული სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატის „იზვესტია“-ში 1927 წლის აგვისტოს 13-ის თარიღითა და 32-33 №ით.

შენიშვნა. აღნიშნული წესები გამოქვეყნებულია „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის ვესტნიკ“-ის 1927 წ. მე 14 №-ში.

ა/კსფსრ-ის შრომის სახალხო კომისარი **იაშვილი.**

ა/კ. შრომის სახ. კომისარიატის საერთო-
საორგანიზაციო განყოფ. გამგე **მელნიკოვი.**

შეთანხმებულია ამიერკავკასიის პროფ-
კავშირთა საბჭოსთან: **იაკუბოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1580 №-ში 1927 წ. სექტემბრის 18-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

199. შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლის „ვ“ პუნქტის შეცვლის შესახებ.

სრულიად საკავშირო საბჭოთა მე-IV ყრილობის მიერ—სსრ კავშირის მრეწველობის მდგომარეობისა და მისი პერსპექტივების შესახებ—1927 წლის აპრილის 26-ს მიღებული დადგენილების („სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტისა და სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრ. კომიტეტის იზვესტია“ ს 96 №-რი 1927 წლის აპრილის 20-სა) 23 მუხლის საფუძველზე—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

შრომის კანონთა კოდეისის 47 მუხლის „ვ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) უკეთუ სამუშაოზე არ გამოცხადდება სამ დღეს ან მეტ ხანს თვეში არაპატივსადები მიზეზის გამო“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1582 №-ში 1927 წ. სექტემბრის 22-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

200. ა/კსფსრ ადგილობრივი ფინანსების დებულების მე-13 მუხლის შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების 1926 წლის აგვისტოს 9-ის დებულების (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 8, მუხ. 697) მე-13 მუხლის „გ" პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ქოხ-სამკითხველოებისა, გლეხთა სახლებისა (გარდა გლეხთა ცენტრალური სახლებისა, რომლებიც თითო-თითოა ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში და ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქებში), კლუბებისა, სახალხო სახლებისა, ბიბლიოთეკებისა, წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირეცოდნის სალიკვიდაციო სკოლებისა,—მათ რიცხვში წვევამდელთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე ცოდნის სალიკვიდაციო სკოლებისა,—მოზრდილთა სკოლებისა და პოლიტიკური ცოდნის საქალაქო და სასოფლო სკოლების დაარსებისა, მოწყობისა და შენახვის ხარჯი".

2. დადგენილება ესე,—ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულების მე 6 მუხლის გამონაკლისად,—შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წლის ოქტომბრის 1-დან.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-ხასახლე. 1927 წ. სექტემბრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1582 №-ში 1927 წ. სექტემბრის 22-ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 46 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

201. **ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერ-კავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის დებულების შეცვლის შესახებ.**

სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1927 წლის ივლისის 22-ის დადგენილების (სსრკ კან. კრებ. 1927 წ. № 45, მუხ. 463) თანახმად—ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I. ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის დებულების (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1927 წ. № 9, მუხ. 115) მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამიერკავკასიის სასაცივრო საქმის კომიტეტის შედგენილობაში შედიან შემდეგ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი: თითო წარმომადგენელი—ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა, ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოსი, სამხედრო უწყებისა, ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერატივთა კავშირისა, სასოფლო სამეურნეო კოოპერაციისა; ერთი წარმომადგენელი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და ერთიც—ამავე რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატებისა“.

II. მე-4 მუხლის შენიშვნა დარჩეს უცვლელად.

III. დებულების მე-5 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„5. კომიტეტის წევრნი და მათი მოადგილენი დაიიაშნებიან,—უკეთუ ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახ. კომისარიატს დასახელებული კანდიდატურის საწინააღმდეგო არაფერი ექნება,—მათ წარმოგზავნილ უწყებათა ან ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების წარმომადგენელი-წევრნი და მათი მოადგილენი—სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რესპუბლიკაკური ცენტრებისა ან ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოებისა და მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების შეთანხმებით—კუთვნილებისამებრ.

კომიტეტის თავმჯდომარეს და მის მოადგილეს დანიშნავს ა/კსფსრ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი კომიტეტის წევრთაგან“.

IV. დებულების მე 6 მუხლი ამოშლილ იქნეს.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქ. მმართ. მოადგილე **ნ. სოკოლსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 1.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1583 №-ში 1927 წ. სექტემბრის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

202. საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების წესების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

1. ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების 1926 წლის აგვისტოს 9-ის დებულება (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 8, მუხ. 697) შეესებულ იქნეს მე-2 დანართით, რომელიც შეიცავს ამა რიცხვს დამტკიცებულ წესებს საქალაქო მიწის რენტის გადახდევინების შესახებ.

2. ადგილობრივი ფინანსების 1926 წლის აგვისტოს 9-ის დებულების 22 მუხლის „გ“ პუნქტი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ქალაქის მიწის რენტისაგან—ამასთანავე დართული წესების თანახმად (დანართი 2)“.

3. დადგენილ იქნეს, რომ ამა რიცხვს დამტკიცებული წესების გამოქვეყნებამდე დადებული საიჯარო ხელშეკრულებით, რომლის ვადაც 1927 წლის ოქტომბრის 1-ს არ გავა, წლიური საიჯარო ქირა გადიდდება 1927 წლის ოქტომბრის 1-დან იმ ძირითადი და დამატებითი რენტის თანხის ანგარიშით, რაც მოიჯარადრეზე 1926-27 წლისათვის ირიცხება, უკეთუ რენტა მოიჯარადრეს უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით შეპირებული საიჯარო ქირის ზედმეტად.

4. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წლის ოქტომბრის 1-დან.

ა/კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრ. აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისე-სასახლი. 1927 წლის სექტემბრის 19.

დანართი მე-2

ა/კსფსრ-ის ადგილობრივი ფინანსების დებულებისა.

წ ე ს ე ბ ი

საქალაქო მიწის რენტის გადახდევინებისათვის.

1. ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს დააწესოს საქალაქო მიწის რენტის გადახდევინება.

შენიშვნა. ქალაქის მიწად, ამა წესების მიხედვით, ის მიწა იგულისხმება, რომელიც საქალაქო დასახლებული ადგილის ფარგალშია. წესი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლებული ადგილის საქალაქო დასახლებულ ადგილთა რიცხვისათვის მიკუთვნებისა და აგრეთვე წესი ამ დასახლებული ადგილის ფარგალის დადგენისა—განისაზღვრება ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით.

2. რენტა გადახდევინებულ უნდა იქნეს აღნაგიანი და უაღნაგო მიწისათვის, რასაც სარგებლობს დაწესებულება, საწარმო, ორგანიზაცია და კერძო პირი, უკეთუ ამ მიწის სარგებლობისათვის მოსარგებლე კომუნალურ მეურნეობის ორგანოების სასარგებლოდ საიჯარო ქირას არ იხდის.

ქვემოაღნიშნული მიწებისათვის საიჯარო ქირა გადახდევინებულ არ უნდა იქნეს და რენტის გადახდევინება შეიძლება იმ გამონაკლისით, რაც აღნიშნულია მე-3 მუხლში: ა) მიწა, რაც მომსახურეობას უწევს იმ შენობას, რომელიც ეკუთვნის კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირს საკუთრების ან აღნაგობის უფლების საფუძველზე; ბ) მიწა, რაც სახელმწიფო საწარმოს გადაეცა მისი წესდებისა და დებულების მიხედვით; გ) მიწა, რომელიც მომსახურეობას უწევს სახელმწიფოს კუთვნილ შენობას, გარდა იმ შენობისა, რაც აღგილმბრივი საბჭოს ქონებაზეა მიწერილი; დ) მიწა, რომელიც უვადო სარგებლობისათვის გადაეცა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას (მუშათა და საერთოსამოქალაქო კოოპერატიულ ამხანაგობას).

3. რენტისაგან განთავისუფლდება ის მიწა:

ა) სადაც სასაფლაოა;

ბ) სადაც მოწყობილია საბანაკო, სასასროლო ადგილი, ჰაეროდრომი და ჩამოსაფრენი ლოდანი, რაც სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში ან სარგებლობაშია;

გ) სადაც აშენებულია ციხე-სიმაგრის ნაგებობა და მოწყობილია სამხედრო პორტი;

დ) რაც გადაეცა ტრანსპორტს თანახმად ტრანსპორტისათვის გადაცემული მიწების შესახებ 1925 წლის აგვისტოს 28-ის თარიღით გამოცემული დებულებისა (სსრ კავშირის კან. კრებ. 1925 წ. № 5, მუხ. 478);

ე) რაც სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისაა, რომლის შემოსავალიც უნდა დაიბეგროს ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით, აგრეთვე აღნაგიანი ნაკვეთი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სასოფლო-სამეურნეო სარგებლობასთან;

ვ) სადაც შენობაა (მისი კუთვნილი საეზოო ადგილით), რაც უჭირავს იმ დაწესებულებას და საწარმოს, რომელიც ინახება საერთო-სახელმწიფო ბიუჯეტით სახარჯთაღრიცხო წესისამებრ, აგრეთვე ამ შენობასთან, რენტის გადახდევინების სფეროში არსებული წესით, გათანასწორებული შენობა,—უკეთუ ეს შენობა და მიწა გამოყენებული არ არის გაჭირავებით;

ზ) სადაც მოწყობილია სახელმწიფო ელექტრონის სადგური ელექტროგადამცემი და განმანაწილებელი ქსელი, აგრეთვე სადაც ტელეფონისა და ტელეგრაფის ბოძები სდგას და სხვა ტეხნიკური ნაგებობაა ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატისა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) სადაც შენობაა (მისი კუთვნილი ეზოთი და ბაღით), რომელიც უჭირავს სამეცნიერო, სასწავლო და სამკურნალო დაწესებულებას, დასვენების სახლს, საბავშვო სახლს და კოლონიას და სახელმწიფო ორგანოთა და კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საინვალიდო დაწესებულებას;

ი) სადაც აგებულია შრომის სასახლე და შენობა, რომელიც უჭირავს პროფესიონალურ ორგანიზაციას, მუშათა კლუბს და გლეხთა სახლს;

კ) სადაც საბავშვო მოედანია და ფიზიკურ კულტურის სასპორტო სტადიონი;

ლ) სადაც შენობაა, რომელიც უჭირავს უცხო სახელმწიფოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას, ურთიერთობრიობის პირობით;

მ) რაც უჭირავს სამხედრო მსახურს ან მის ოჯახს, მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სამხედრო მსახურთა და მათ ოჯახთა შეღავათების შესახებ არსებული კანონმდებლობის დაცვით;

ნ) სადაც აგებულია სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, რომელიც არსებული წესით კონსერვაციაქმნილია, უკეთუ საწარმოს მიერ დაპერილი მიწის ნაკვეთი ან ამ ნაკვეთზე აშენებული ნაგებობა არ არის გამოყენებული ისეთი საპროებისათვის, რასაც აღნიშნულ საწარმოსთან კავშირი არა აქვს;

ო) ნაკვეთი, გადაცემული აღნაგობის ხელშეკრულებით საცხოვრებელი შენობის ასაგებად,—დღიდან ნაკვეთის გადაცემისა 3 წლის გასვლამდე შენობის აგების დღიდან;

პ) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის მიჩენილი ნაკვეთი, რაც აღნიშნულ დაწესებულებისა და საწარმოს მიერ გამოყენებული იქნება საცხოვრებელ შენობის ასაგებად,—დღიდან სამშენებლო მუშაობის დაწყებისა 3 წლის გასვლამდე აშენების დღიდან;

ჟ) ნაკვეთი, რაც გადაცემული აქვს საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობას (მუშათა და საერთო-სამოქალაქო კოოპერატ. ამხანაგობას) უვადო სარგებლობისათვის საცხოვრებელი შენობის ასაგებად,—დღიდან ნაკვეთის გადაცემისა 3 წლის გასვლამდე აშენების დღიდან.

შენიშვნა 1. ამა მუხლის „ო“, „პ“ და „ჟ“ პუნქტებით დაწესებული შეღავათი გავრცელდება იმ მიწის ნაკვეთზედაც, სადაც სწარმოებს საცხოვრებელი შენობის აღდგენა და დამთავრება, უკეთუ აღდგენის ან დამთავრების ღირებულება მთლად შენობის ღირებულების 30 პროცენტს მაინც შეადგენს.

შენიშვნა 2. 3 წლის გასვლისას დღიდან შენობის აგებისა, უკეთუ აგებული, აღდგენილი ან დამთავრებული სახლთმფლობელობის საცხოვრებელი სივრცე მთლად შენობის სივრცის 75 პროცენტს მაინც შეადგენს, რენტა გადახდევინებულ უნდა იქნეს განაკვეთის 50 პროცენტის რაოდენობით „ო“ პუნქტში აღნიშნული ნაკვეთისათვის—აღნაგობის ხელშეკრულების მთელი დარჩენილი ვადის განმავლობაში, ხოლო „პ“ და „ჟ“ პუნქტში აღნიშნული ნაკვეთისათვის—30 წლის განმავლობაში.

4. რენტის განაკვეთის დასაწესებლად ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებული ეკონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოები გაანწილებენ საქალაქო დასახლებულ ადგილებს კლასებად მე-5 მუხლის წესით დადგენილ საფუძველზე.

5. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო დაადგენს საფუძველს საქალაქო დასახლებული ადგილების კლასებად განაწილებისათვის, აგრეთვე ამ კლასების რიცხვს და თვითეული კლასისათვის დანიშნავს რენტის უმაღლეს უკიდურეს განაკვეთს მოსარგებლეთა (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო) კატეგორიების თანაბრად და მიწების კატეგორიების კვალობაზე, იმისდამიხედვით, თუ რა სახით არის ეს მიწები გამოყენებული (ეზო, ბაღი, ბოსტანი, მიწა, სადაც აგებულია საცხოვრებელი სახლი, სავაჭრო სადგომი, სამრეწველო საწარმო და სხვ.).

შენიშვნა. ა/კსფსრ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ამიერკავკასიის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან შეთანხმებით, წარუდგენს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს საქალაქო დასახლებული ადგილების კლასებად განაწილების საფუძვლისა და რენტის უმაღლესი უკიდურესი განაკვეთის პროექტს სათანადო წესისამებრ დასამტკიცებლად.

6. რენტის განაკვეთს თვითეული საქალაქო დასახლებული ადგილისათვის განსაზღვრავს სათანადო ადგილობრივი საბჭო საქალაქო დასახლებული ადგილის ნაწილების (რაიონი, კვარტალი, ქუჩა) მიხედვით და აგრეთვე მოსარგებლეთა და მიწების კატეგორიების მიხედვით, ამა წესების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლში.

შენიშვნა. შენობიანი მიწისათვის დაწესებული განაკვეთით დაიბეგრება მხოლოდ ის სივრცე, რაც თვით შენობას უჭირავს; საეზოვე ადგილის დანარჩენი ნაწილი დაიბეგრება იმ განაკვეთით, რაც დაწესებულია სათანადო უაღნაგო მიწებისათვის, ე. ი. ეზოს, ბაღისა და ბოსტნისათვის.

7. რენტა უნდა გადაიხდეს ნაგებობის მესაკუთრეს, აღმნაგს ან იმ დაწესებულებას, საწარმოს თუ ორგანიზაციას, რომელსაც დადგენილი წესით გადაეცა მიწის ნაკვეთი ან ამ ნაკვეთზე აგებული შენობა.

8. საშენაწერო ერთეულად რენტის გადახდევინებისათვის ჩაითვლება თვითეული ცალკე მფლობელობა, ე. ი. აღნაგიანი ან უაღნაგო მიწის ნაკვეთი, რომელიც გამიჯნულია სხვა ნაკვეთებისაგან და არის ერთი ფიზიკური ან იურიდიული პირის ცალკე სარგებლობაში ან რამდენიმე პირის საერთო სარგებლობაში.

რენტა გადახდევინებულ უნდა იქნეს იმ მიწის სივრცის კვადრატული მეტრის რიცხვის მიხედვით, რაც ერთ საშენაწერო ერთეულს შეადგენს.

9. რენტის გადახდევინების საქმის საერთო გამგებლობა ადგილობრივ დაეკისრება სათანადო ადგილობრივ საფინანსო ორგანოებს, ხოლო მუშაობა დასაბეგრი მიწების აღნუსხვისა და სარენტო განაკვეთის გამოანგარიშებისათვის— პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორებს.

10. სარენტო განაკვეთის განსაზღვრისათვის თვითეულ საგადასახადო უბანში მოეწყობა რენტის გადახდევინების საუბნო კომისია პირდაპირ გადასახადთა ინსპექტორის თავმჯდომარეობით; კომისიის შედგენილობაში შევლენ: წარმომადგენელი ადგილობრივი საბჭოსი და ადგილობრივი ორგანოსი, რომელიც კომუნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლურ მეურნეობას განაგებს და აგრეთვე ორი წევრი რენტის გადამხდელთაგან, რომელთაც, სათანადო საფინანსო განყოფილების წარდგენით, დანიშნავს ადგილობრივი საბჭო.

11. რენტის გადამხდელთა მიერ საუბნო კომისიის დადგენილების განსაჩივრებისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს ის წესი, რაც დადგენილია ადგილობრივი გადასახადისა და გამოსყიდებისათვის.

12. რენტის გადახდის ვადებს სბიუჯეტო წლის განმავლობაში დაიწესებს სათანადო ადგილობრივი საბჭო.

13. რენტის გადახდევინების წესისათვის შეფარდებულ უნდა იქნეს გადასახადთა გადახდევინების დებულების (სსრკ კან. კრებ. 1925 წ. № 70, მუხ. 518) წესები.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტ. თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 19.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1584 №-ში 1927 წ. სექტემბრის 24-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

203. ა/კსფსრ-აში წყალთა მეურნეობის მმართველი ორგანოების დებულების დამტკიცებრს შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ-აში წყალთა მეურნეობის ორგანოების შესახებ.

II. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების დებულების დამტკიცების შესახებ 1925 წლის ივლისის 13-ის თარიღით გამოცემული დადგენილება (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1925 წ. № 7, მუხ. 465) გაუქმებულ იქნეს.

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტ. თავმჯდომარე **ს. აღამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმას. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულეგა აკსფსრ-ში წყალთა მეურნეობის მმართველი ორგანოების შესახებ.

ა. ზოგადი დებულებანი.

I. წყალთა მეურნეობის მმართველი ორგანოები ა/კსფსრ-აში არიან: ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელიც აერთიანებს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებს (აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველო, სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველო და საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო).

II. წყალთა მეურნეობის აღნიშნული მმართველი ორგანოების გამგებლობაში შედის:

1) მიწების მორწყვა, წყლის გაყვანა, ჭაობების ამოშრობა და წყლის ძალის გამოყენება;

2) ბრძოლა წყალის მავნებელ მოქმედებასთან, წყალდიდობასთან, დაჭაობებასთან, დალამებასთან, მუშაობა ნაპირების გამაგრებისათვის;

3) წყლის მოწესრიგება ამა მუხლის 1-ლ და მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ მელიორაციის სახეთათვის, წყლის ტრანსპორტისა, სატივტივო საქმისა და მეთევზეობის საჭიროებათა აღნუსხვით.

შენიშვნა. წყალთა მეურნეობის სამმართველოების ღონისძიებანი იმ შემთხვევაში, როცა საქმე ნაოსნობისა, მეთევზეობისა, რკინისგზისა, გზატკეცილებისა, ტყისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგის ინტერესებს შეეხება, წყალთა მეურნეობის სამმართველოების მიერ შეთანხმებულ უნდა იქნენ სათანადო უწყებებთან.

სხვა დაწესებულებათა ღონისძიებანი წყალთა მეურნეობის სფეროში შეთანხმებულ უნდა იქნენ წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან.

III. რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაეკისრება:

ა) ექსპლოატაცია რესპუბლიკანური სარწყავი სისტემებისა;

ბ) ექსპლოატაცია სარესპუბლიკათაშორისო სისტემისა, რაც ნაწილობრივ შედის რესპუბლიკათა ტერიტორიაში, რომელსაც მომსახურეობას უწევს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო, უკეთუ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ ექსპლოატაცია დაკისრებული აქვს რესპუბლიკანურ სამმართველოს;

გ) კაპიტალური გადაკეთება და ექსპლოატაცია წყალთა მეურნეობის ყველა ნაგებობისა და სარწყავი სისტემისა, რასაც მომსახურეობას უწევს რესპუბლიკანური სამმართველო;

დ) რესპუბლიკის ტერიტორიაზე ახალი მიწების მორწყვისათვის საჭირო მუშაობის წარმოება, უკეთუ ეს მუშაობა შეტანილი არ არის იმ სამუშაოთა სიაში, რაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ უნდა იქნეს წარმოებული;

ე) განხორციელება საჭირო ღონისძიებათა წყალთა მოწესრიგებისათვის და წყლის მავნებელ მოქმედებასთან ბრძოლისათვის, იმავე შეზღუდვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) შესწავლა წყალთა ძალისა, გამოკვლევითა წარმოება და წყალთა მეურნეობის ნაგებობათა პროექტების შედგენა, იმავე შეზღუდვით;

ზ) წარმოება სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა, იმავე შეზღუდვით.

ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაეკისრება:

ა) ექსპლოატაცია სარესპუბლიკათაშორისო სარწყავი სისტემებისა, რომელთა სიასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭო, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარდგენისამებრ;

ბ) კაპიტალური გადაკეთების წარმოება სარესპუბლიკათაშორისო სისტემებში, რაც ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს დადგენილებით გადაცემულია ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაში, მათი გაუმჯობესებისა და სარწყავი სივრცის გაფართოების მიზნით;

გ) კაპიტალური გადაკეთების წარმოება რესპუბლიკანურ სისტემებში, როდესაც ეს გადაკეთება რადიკალურად სცვლის სისტემის საზღვრობას და მისი საკომანდო მნიშვნელობის სფეროს—ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ცალკე დადგენილების თანახმად;

დ) მორწყვა საერთო-საკავშირო და საერთო-ფედერატიული მნიშვნელობის ახალი მიწებისა, რომელთა სიასაც წარადგენს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო და დაამტკიცებს ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭო;

ე) განხორციელება საჭირო ღონისძიებათა წყალთა მოწესრიგებისათვის და ბრძოლა წყლის მავნებელ მოქმედებასთან, ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ცალკე დადგენილებით;

ვ) ხელმძღვანელობის გაწევა ჰიდრო-ელექტრონული დანადგამის შესწავლისა, გამოკვლევისა და პროექტის შესადგენად საჭირო მუშაობისათვის, რასაც აწარმოებს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო, და ამ სამუშაოთა უშუალო წარმოება ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ცალკე დადგენილებით;

ზ) წარმოება სამეცნიერო-საკვლევ მუშაობისა იმ სამუშაოების ტერიტორიაზე, რასაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო აწარმოებს.

შენიშვნა 1. სარწყავი სისტემებისა და წყალთა მეურნეობის სხვა ნაგებობათა ექსპლოატაციად ამა დებულებით იგულისხმება:

ა) წყლის სარგებლობის ორგანიზაცია და მოწესრიგება;

ბ) სარწყავი სისტემებისა და ნაგებობათა შენახვა, მიმდინარე რემონტი, მიმდინარე გაუმჯობესება და განვითარება;

გ) წყალთა მეურნეობის დარგში საკონიუნქტურო კვლევის წარმოება (მიმდინარე სტატისტიკის დარგში ცნობების შეკრება);

დ) მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირებისათვის ხელის შეწყობა სარწყავი სისტემებისა და სხვა ნაგებობათა ექსპლოატაციისა და აგრეთვე მათი გაუმჯობესებისა და გაფართოების მიზნით;

ე) საორგანიზაციო და ტეხნიკური დახმარების აღმოჩენა მოსახლეობისათვის ამ უკანასკნელის მიერ ნატურალური შრომით და თავისი ხარჯით წყალთა მეურნეობის სამუშაოს შესრულების საქმეში, კერძოდ, უკეთუ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობა სესხს მიიღებს,—ტეხნიკური ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის გაწევას აღნიშნული სამუშაოს წარმოებისათვის.

შენიშვნა 2. რესპუალიკანურ სისტემად და ღონისძიებად ამა დებულების მიხედვით ჩაითვლება ის სისტემა და ღონისძიება, რაც მთლიანად იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, რომელსაც მომსახურეობას უწევს ცალკე რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო. სარესპუბლიკათაშორისო სისტემად და ღონისძიებად ჩაითვლება ის სისტემა და ღონისძიება, რაც სცილდება იმ რესპუბლიკის ფარგალს, რომელსაც მომსახურეობას უწევს ცალკე რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო.

შენიშვნა 3. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფლება ეძლევა თავისი გამგებლობის ფარგალის სამუშაო დააკისროს დაინტერესებულ რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს, ხოლო ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო პასუხისმგებელი იქნება ამ სამუშაოთა სისწორით შესრულებისათვის.

IV. გარდა გამგებლობის იმ ფარგალისა, რაც წინა მუხლითაა გათვალისწინებული, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაეკისრება რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების მოქმედების გეგმური, ორგანიზაციული და ტეხნიკური გაერთიანება და ამ მოქმედებისათვის ხელმძღვანელობისა, ინსტრუქტიობისა, ზედამხედველობისა, კონტროლისა და ინსპექტიობის გაწევა.

ბ. დებულება რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების შესახებ.

V. რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველო არსებობს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსთან და თავისი მოქმედებისათვის იხელმძღვანელებს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დავალებებსა და დირექტივებს.

VI. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს და უკანვე გაიწვევს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

VII. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოვალეობას შეადგენს:

1) შეადგინოს რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის გენერალური, საპერსპექტივო და წლიური გეგმა, გაატაროს იგი რესპუბლიკის სათანადო ორგანოებში და წარადგინოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოში შემდგომი შეთანხმებისა და გატარებისათვის.

2) განაგოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის ექსპლოატაციის საქმე, აწარმოოს სათანადოდ დამტკიცებულ გეგმაში გათვალისწინებული ტეხნიკური და ეკონომიური გამოკვლევა და მშენებლობა, გაუწიოს ინსტრუქტიობა სათანადო ორგანოებს და ზედამხედველობა მათ მოქმედებას და მათ მიერ მუშაობის შესრულებას.

3) აწარმოოს, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ მიცემული ინსტრუქციებისა და პროგრამების თანახმად, სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა და აგრეთვე საკონიუნქტურო დაკვირვება წყალთა მეურნეობის დარგში, და ამ მუშაობის შედეგი წარუდგინოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შესამუშავებლად, შესაჯუმლად და გამოსაცემად.

4) შეიმუშაოს გამოკვლევათა და ძიებათა პროგრამები და ნაგებობათა მოწყობისა და გადაკეთების სქემები და პროექტები და დაამტკიცოს ისინი ან წარუდგინოს სათანადო დამტკიცებსათვის ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს პროგრამებისა და პროექტების განხილვის და დამტკიცების წესის შესახებ არსებული დებულების თანახმად.

5) ხელი შეუწყოს მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირებას სარწყავი სისტემების ექსპლოატაციისა და აგრეთვე მიწების მორწყვისა და წყალთა მეურნეობის სხვა სამუშაოთა შესრულების მიზნით.

6) აღმოუჩინოს ორგანიზაციული და ტეხნიკური დახმარება მოსახლეობას ამ უკანასკნელის მიერ თავისი შრომითა და სახსარით ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობის შესრულების საქმეში, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოსახლეობა სესხს მიიღებს, და აგრეთვე გაუწიოს აღნიშნულ მუშაობას ტეხნიკური ხელხმძღვანელობა და ზედამხედველობა.

7) წარუდგინოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და მის ინსპექტორებს,—მათი მოთხოვნისამებრ, —საჭირო ცნობები რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს და მისი ორგანოების მუშაობის შესახებ და აგრეთვე აღმოუჩინოს მათ დახმარება რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს და მისი ორგანოების მუშაობის გაცნობის საქმეში.

8) ზედამხედველობა გაუწიოს ყოველგვარ მუშაობას წყალთა მეურნეობის დარგში, ვინც უნდა აწარმოებდეს მას.

9) შეათანხმოს უწყებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა პროექტები, რომლებიც შეეხება წყალთა მეურნეობის ინტერესებს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ან და მისცეს მათ შესასებ დასკვნა იმ შემთხვევაში, როდესაც საკითხი რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს კომპეტენციის ფარგალს სცილდება.

10) შეადგინოს წლიური ანგარიში წყალთა მეურნეობის მდგომარეობისა და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს და მისი ორგანიების მოქმედების შესახებ და წარუდგინოს იგი ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს თავისი დასკვნით იმ საორგანიზაციო და სხვა ღონისძიებათა შესახებ, რის საჭიროებაც გამოაშკარავდა საანგარიშო ცნობების მიხედვით, ხოლო იგივე ანგარიში ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დასკვნით წარუდგინოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს.

VIII. დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფლება ეძლევა:

1) წარადგინოს მოხსენება, რესპუბლიკის ეკონომიური საბჭოს დასტურით, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოში წყალთა მეურნეობის ხარ-

ჯისათვის კრედიტის ასიგნვის შესახებ საერთო-საგეგმო წესით და სასწრაფო შემთხვევაში—ცალკე.

2) განაგოს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს გეგმის თანახმად გაცემული თანხა დამტკიცებული გეგმის მიხედვით და დახარჯვისა და ანგარიშგების საერთო საკასო წესების დაცვით.

3) ასცილდეს კრედიტების განკარგულების დროს, უკეთუ სასწრაფო გარემოება გამოიწვევს, გეგმით დამტკიცებულ კრედიტს არა უმეტეს 10.000 მან. თანხის რაოდენობით ცალკე საგეგმო ტატულისათვის, იმ პირობით, რომ გადამეტებულ არ იქნეს საგეგმო ასიგნვათა საერთო თანხა, შტატის შესანახი ხარჯის გაუდიდებლად და სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დავალებით შესასრულებელი მუშაობისათვის გადადებული თანხის შეუცირებლად ან მის ხელახლა გაუნაწილებლად; ამასთანავე თვითეული ასეთი აცილება დამტკიცებული კრედიტებისაგან უნდა ეცნობოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

4) დამატკიცოს გამოკვლევათა პროგრამები და ნაგებობათა მოწყობისა და გადაკეთების პროექტები იმ უფლებამოსილობის ფარგალში, რაც რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს მინიჭებული აქვს პროგრამებისა, სქემებისა და პროექტების განხილვის და დამტკიცების წესის შესახებ არსებული დებულებით.

5) შეათანხმოს რესპუბლიკანურ უწყებათა და ორგანიზაციათა და აგრეთვე კერძო პირთა პროექტები, რაც წყალთა მეურნეობის ინტერესებს შეეხება, უკეთუ ეს ინტერესი არა სცილდება იმ სამუშაოს ტერიტორიას, რომელსაც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო აწარმოებს.

6) ნება დართოს თავისუფალი წყლის გაყვანისათვის იმ წყლიდან, რომლის ბასეინიც რესპუბლიკის ფარგალშია.

7) განსაზღვროს სარგებლობის უფლება, გასცეს მოწმობა წყლის სარგებლობის უფლების შესახებ, გადასწყვეტოს დავა წყლის მოსარგებლეთა შორის, მოაწესრიგოს წყლის სარგებლობის საქმე და აღადგინოს წყლის სარგებლობის დარღვეული უფლება იმ სისტემაში, რომელიც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს განმგებლობაშია.

8) მიმართოს სახელმძღვანელო განმარტებისათვის ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს ისეთი საკითხის გამო, რაც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფლებამოსილობის ფარგალს სცილდება.

9) დანიშნოს თვალსაჩინო სამშენებლო სამუშაოს ხელმძღვანელი ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან შეთანხმებით.

IX. რესპუბლიკანური სამმართველოს შედგენილობაში შედის:

1) სამმართველოს უფროსი;
2) მისი მოადგილე;
3) სატეხნიკო-საწარმო განყოფილება;
4) საინსპექტორო-სნკონტროლო განყოფილება;
5) საექსპლოატაციო განყოფილება;
6) სამეცნიერო-საკვლევო განყოფილება;

7) საქმეთა მმართველობა;
8) ბუხჰალტერია;
9) იურისკონსულტი;
10) მომარაგების განყოფილება;
11) სასტატისტიკო-ეკონომიური განყოფილება.

შენიშვნა. საქმეთა მმართველობა, ბუხჰალტერია და იურისკონსულტი შეიძლება გაერთიანებულ იქნენ ერთ საადმინისტრაციო-საფინანსო განყოფილებად.

რესპუბლიკანურ სამმართველლსთან არსებობს წყალთა ტეხნიკური თათბირი ტეხნიკური პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა და მნიშვნელოვანი ტეხნიკური საკითხების განსახილველად. თათბირის დებულებას დაამტკიცებს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

გ. დებულება ამიერკავკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შესახებ.

X. ა/კსფსრ-ის წყალთა მეურნეობის სამმართველო არსებობს ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოსთან.

XI. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეს დანიშნავს და უკანენ გაიწვევს ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო.

XII. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებობს წყალთა ტეხნიკური საბჭო, რომლის დებულებასაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო დასამტკიცებლად ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგენს.

XIII. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მოვალეობას, მისი გამგებლობის სფეროში, რაც განსაზღვრულია „ა“ თავში (ზოგადი დებულებანი), შეადგენს:

1. საწარმოო და საექსპლოატაციო დარგში:

ა) შეადგინოს წყალთა მეურნეობის გენერალური, საპერსპექტივო და წლიური გეგმა;

ბ) განაგოს ექსპლოატაციის საქმე;

გ) აწარმოოს გამოკვლევა, ძიება და მშენებლობა, რაც გათვალისწინებულია სათანადოდ დამტკიცებულ გეგმაში;

დ) მოაწყოს და შეასრულოს, სათანადოდ დამტკიცებული პროგრამებისა და ინსტრუქციების მიხედვით, სამეცნიერო-საკვლევო მუშაობა და აგრეთვე საკონფუნქტურო დაკვირვება წყალთა მეურნეობის დარგში იმ სისტემებზე და სამუშაოებზე, რასაც მომსახურეობას უწევენ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის საექსპლოატაციო და საწარმოო ორგანოები.

შენიშვნა. უკეთუ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმოებითი მუშაობა მთლიანად ან ნაწილობრივ იმ ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რომელსაც მომსახურეობას უწევენ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს საექსპლოატაციო ორგანოები, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფლება ეძლევა დაკვირვებისა და მუშაო-

ბის მოწყობა და წარმოება დააკისროს, ამა პუნქტის თანახმად, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს იმ ორგანოს, რომელიც მუშაობას აწარმოებს, ან რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს.

ე) შეიმუშაოს გამოკვლევათა პროგრამები და ნაგებობათა მოწყობისა და გადაკეთების სქემები და პროექტები;

ვ) ხელი შეუწყოს მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირებას სარწყავი სისტემების ექსპლოატაციისა და აგრეთვე მიწების მორწყვისა და წყალთა მეურნეობის სხვა სამუშაოების შესრულების მიზნით;

ზ) აღმოფრინოს ორგანიზაციული და ტეხნიკური დახმარება მოსახლეობას ამ უკანასკნელის მიერ თავისი შრომითა და სახსრით ჰიდრო-ტეხნიკური მუშაობის შესრულების საქმეში, კერძოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოსახლეობა სესხს მიიღებს, და აგრეთვე გაუწიოს აღნიშნულ მუშაობას ტეხნიკური ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა.

2. რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს საექსპლოატაციო და წარმოებითი ორგანოების სამუშაოთა გაერთიანებისა და სამუშაოთათვის ხელმძღვანელობისა, ინსტრუქტიობისა, ზედამხედველობისა, კონტროლისა და ინსპექტიობის გაწევის წესისამებრ:

ა) შეადგინოს საკუთარი გეგმებისა და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების სათანადოდ შეთანხმებული გეგმების საფუძველზე საჯუმლო გენერალური, სპერსპექტივო და წლიური გეგმები წყალთა მეურნეობის დარგში და წარუდგინოს ეს გეგმები ამიერკავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოს;

ბ) შეიმუშაოს და მიაწოდოს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს საორგანიზაციო და ტეხნიკური ინსტრუქციები საკვლევო, საპროექტო და სამშენებლო მუშაობის გაერთიანებისა და რაციონალიზაციის მიზნით, მათ შორის—ინსტრუქციები წყალთა მეურნეობის დარგში სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა და საკონფუნქტურო კვლევის წარმოებისათვის;

გ) შეიმუშაოს და შეაჯუმლოს წყალთა მეურნეობის დარგში წარმოებული სამეცნიერო-საკვლევო მუშაობისა და საკონიუნქტურო დაკვირვების შედეგი ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და რესპუბლიკანური სამმართველოების მასალის საფუძველზე;

დ) დაამტკიცოს, ტეხნიკური საბჭოს დასკვნის მიხედვით, გამოკვლევათა პროგრამები და ნაგებობათა მოწყობისა და გადაკეთების პროექტები, რასაც შეიმუშავებენ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ორგანოები;

ე) შეათანხმოს უწყებათა, ორგანიზაციათა და კერძო პირთა ის პროექტები, რომლებიც შეეხება წყალთა მეურნეობის ინტერესებს, უკეთუ ეს ინტერესები სცილდება რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების კომპეტენციის ფარგალს, აგრეთვე მისცეს დასკვნა ამ პროექტების შესახებ და წარუდგინოს ისინი შესათანხმებლად სათანადო ორგანოებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) მოაწესრიგოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმოებითი ორგანოების მუშაობა ადგილობრივ, გაეცნოს ამ მუშაობას და შეადგინოს მის შესახებ წერილობითი ანგარიში;

ზ) მისცეს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველობს დირექტივები და განმარტებანი იმ ნაკლისა და შეცდომების თავიდან ასაცილებლად, რაც შენიშნულ იქნა რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და მათი ორგანოების მუშაობაში; ამასთანავე, სასწრაფო შემთხვევაში და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული ნაკლი და შეცდომა თავიდან აცილებულ არ იქნება და განმეორდება, ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შეუძლიან მისცეს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს სასწრაფო განკარგულება საჭირო განსაზღვრულ ღონისძიებათა ხმარების შესახებ, ხოლო ამ შემთხვევაში აცნობებს იმ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, რომელსაც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო ემორჩილება, ამ უკანასკნელის მუშაობაში შეჩნეული ნაკლის შესახებ და აგრეთვე იმ ღონისძიებათა შესახებ, რის ხმარებაც დაეკისრა რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს;

თ) განიხილოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების წლიური ანგარიშები და მისცეს თავისი დასკვნა ამ ანგარიშების შესახებ რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების სახელმძღვანელოდ და ამ უკანასკნელთა მიერ, თავიანთ ანგარიშებთან ერთად, სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოებისათვის მოსახსენებლად;

ი) შეადგინოს, საკუთარი საანგარიშო ცნობებისა და რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების ანგარიშების მიხედვით, საჯუმლო ანგარიში ა/კსფსრ-ის წყალთა მეურნეობის მდგომარეობის შესახებ, იმ საორგანიზაციო და სხვა ღონისძიებათა აღნიშვნით, რის საჭიროებაც გამოაშკარავდა საანგარიშო ცნობების საფუძველზე, და წარადგინოს ეს ანგარიში ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოში;

კ) გადასწყვეტოს საკითხები რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების შეკითხვების გამო ან წარგზავნოს ეს შეკითხვები გადასაწყვეტად, უკეთუ საკითხის გადაწყვეტა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს კომპეტენციის ფარგალს სცილდება, ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოში;

ლ) მოაწყოს თავისი განკარგულებით ან რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეშვეობით სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებანი და აგრეთვე განახორციელოს თანამშრომელთა მოვლინებანი სამეცნიერო ცენტრებში და საზღვარგარეთ სათანადო კვალიფიკაციის მომუშავეთა მოსამზადებლად;

მ) მოაწყოს თავისი განკარეულებით ან რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების მეშვეობით წყალთა მეურნეობის დარგის საცდელი და საჩვენებელი დაწესებულებანი წყალთა მეურნეობის რაციონალიზაციისა, წყალთა ექსპლოატაციისა და სათანადო მშენებლობის წარმოების მიზნით;

ნ) სისტემატიზაცია გაუკეთოს, გამოსცეს, და გაუგზავნოს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნობის სამმართველოებს და სხვა დაინტერესებულ ორგანოებს და პირთ წყალთა ორგანოების მუშაობის პროცესში დაგროვილი მასალა, მათ შორის სამეცნიერო-საკვლევო მუშაობის შედეგიც;

ო) შეიმუშაოს წყალთა კანონმდებლობის საფუძვლები.

XIV. დაკისრებული მოვალეობის აღსასრულებლად ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფლება ეძლევა:

1) წარადგინოს მოხსენება წყალთა მეურნეობისათვის კრედიტის ასიგნვის შესახებ საერთო-საგეგმო წესით, ხოლო სასწრაფო შემთხვევაში—ცალკე.

2) განაგოს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსათვის მიცემული თანხები დამტკიცებული გეგმის მიხედვით და დახარჯვისა და ანგარიშგების საერთო საკასო წესების დაცვით.

3) ასკილდეს კრედიტების განკარგულების დროს, უკეთუ სასწრაფო გარემოება გამოიწვევს, გეგმით დამტკიცებულ კრედიტს არა უმეტეს 50.000 მან. თანხის რაოდენობით ცალკე საგეგმო ტიტულისათვის და ფინანსიურად ხელი შეუწყოს, საგეგმო ასიგნვათა ხარჯზე, არასაგეგმო მუშაობას, რასაც გამოიწვევს უშუალო და უბედურების საფრთხის წარმომშობი გარემოება, არა უმეტეს 50.000 მან. თანხის რაოდენობით, ასიგნვათა საერთო თანხის გადაუმეტებლად, შტატის შესანახი ხარჯის გაუდიდებლად და საკელეო მუშაობისათვის და აგრეთვე საცდელი და საჩვენებელი სადგურებისათვის გადადებული თანხის შემცირებლად.

4) დაამტკიცოს გამოკვლევათა პროგრამები და ნაგებობათა მოწყობისა და გადაკეთების პროექტები იმ უფლებამოსილობის ფარგლში, რაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მინიჭებული აქვს პროგრამებისა, სქემებისა და პროექტების განხილვისა და დამტკიცების შესახებ არსებული დებულებით და აგრეთვე დაამტკიცოს ტეხნიკური და საორგანიზაციო ინსტრუქციები რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და მათი ორგანოებისათვის.

5) მოითხოოს, რათა რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების სამუშაოთა ხელმძღვანელების დანიშვნა შეთანხმებულ იქნეს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან.

6) მოაწესრიგოს წყლის საოგებლობა, გადასწყვიტოს სადაო საკითხები წყლის საოგებლობის დარგში და განსახილოს წყლის საოგებლობის უფლება იმ სისტემაში, რაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს გამგებლობაშია.

7) შეიტანოს სათანადო ორგანოებში პროექტები წყალთა მეურნეობის დარგში ახალი დადგენილებების გამოცემისა და არსებული დადგენილებების შეცვლის შესახებ.

8) მიიღოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისა და მათი ორგანოებისაგან საჭირო ცნობები მათი მუშაობის გაცნობის წესით და აგრეთვე ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობასთან დაკავშირებით.

9) მისცეს რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს განმარტებანი და დირექტივები.

10) ზედამხედველობა გაუწიოს რესპუბლიკანური სამმართველოების მოქმედებას და მათ მიერ წარმოებული მუშაობის მსვლელობას, აგრეთვე შეამოწმოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების ნაგებობანი და მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოების ტეხნიკური და ფინანსიური ანგარიშგება და მონაწილეობა მიიღოს მუშაობის ჩაბარებაში.

11) სასწრაფო შემთხვევაში და აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს მუშაობაში შემჩნეული ნაკლი და შეცდომა თავიდან აცილებული არ იქნება და განმეორდება,—მისცეს ხოლმე ამ რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოს კონკრეტული განკარგულება, რათა ამ უკანასკნელმა დაადოს გადასახდელი რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს მომუშაავეთ ან გადააყენოს ისინი და დანიშნოს მათ მაგიერ სხვა პირები ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს მიერ აღნიშნულ ვადაზე; ამასთანავე შენიშნული უწესრიგობისა და გაცემული განკარგულების შესახებ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო აცნობებს რესპუბლიკანურ სახალხო კომისართა საბჭოს, რომელსაც რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველო ემორჩილება.

12) ზედამხედველობა გაუწიოს წყალთა მეურნეობის დარგში წარმოებულ მუშაობას, ვინც უნდა აწარმოებდეს მას.

13) გადასწყვიტოს საკითხები ფედერალურ დაწესებულებათა და საწარმოთა პროექტების შეთანხმების შესახებ, რაც შეეხება წყალთა მეურნეობის ინტერესებს იმ ტერიტორიაზე, რომელსაც მომსახურეობას უწევენ რესპუბლიკანური სამმართველოს ორგანოები.

XV. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს შედგენილობაში შედის:

1) ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი;
2) მისი მოადგილე;
3) სატეხნიკო-წარმოო განყოფილება;
4) საინსპექტორო-საკონტროლო განყოფილება;
5) სამეცნიერო-საკვლევო განყოფილება;
6) სასტატისტიკო-ეკონომიური განყოფილება;
7) მომარაგების განყოფილება;
8) საქმეთა მმართველობა;
9) იურისკონსულტი;
10) ბუხჰალტერია;

XVI. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს დაეკისრება შეიმუშაოს ამა დებულების განსავითარებლად სათანადო ინსტრუქციები, რასაც დაამტკიცებს ა/კსფსრ-ის უმაღლესი ეკონომიური საბჭო.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1584 №-ში 1927 წ. სექტემბრის 24-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

204. სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების დამტკიცების შესახებ.

ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის შესახებ.

II. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1927 წლის ოქტომბრის 1-დან.

III. ამა დადგენილების სამოქმედოდ შემოღებისას ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1926 წლის თებერვლის 15-ის დადგენილება—სოფლის მოსახლეობის საგზაო შროშის ბეგარის შესახებ (ა/კსფსრ-ის კან. კრებ. 1926 წ. № 2, მუხ. 593).

IV. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ა/კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **შ. ელიავა.**

ა/კ. ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1927 წ. სექტემბრის 5. ტფილისი-სასახლე.

დებულება სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის შესახებ.

გაწვეულ იქნეს სოფლის მოსახლეობა ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე საგზაო შრომის ბეგარისათვის რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა, შარაგზებისა და საგზაო ნაგებობათა მოწყობისა, რემონტისა და მათ შესაფერ მდგომარეობაში შენახვისათვის საჭირო მუშაობის შესასრულებლად და აგრეთვე იმ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რაც მიმართულ იქნება საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზატკეცილებისა და შარაგზების აღდგენისათვის. როდესაც ამ უკანასკნელთ დაეხიანებს ბუნების სტიქიური მოვლენა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავს იჩენს საფრთხე მოძრაობის შეწყვეტისა; ამასთანავე შრომის ბეგარაზე გაწვეულ უნდა იქნეს გზების ახლო მდებარე რაიონების მოსახლეობა იმ წესით, რაც აღნიშნულია ამა დებულების შემდეგ მუხლებში.

შენიშვნა 1. დადგენილება მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვევის შესახებ იმ გზებზე სამუშაოდ, რომელიც რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობისაა, გამოცემულ უნდა იქნეს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის პლენუმისა ან საუბნო-სეთემო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ—კუთვნილებისამებრ.

შენიშვნა 2. ცალკე შემთხვევაში, როდესაც საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზის ამა თუ იმ უბანს თვალსაჩინო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასეთი დადგენილება შეიძლება მიღებულ იქნეს საერთო-საკავშირო გზისათვისაც, ხოლო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის ასეთი დადგენილება დამტკიცებულ უნდა იქნეს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

2. საგზაო შრომის ბეგარა, გარდა პირადი შრომისა, შეიცავს აგრეთვე მოვალეობას, რომ სათანადო საგზაო ორგანოებს ბეგარის შესრულების დროის განმავლობაში გადაეცეს მუშა-საქონელი საჭირო ჭაპანზიდვის ტრანსპორტის საშუალებით და ინვენტარით.

შენიშვნა. რაოდენობა აღნიშნული მუშა-საქონლისა და საჭირო ჭაპანზიდვის ტრანსპორტის საშუალებისა და ინვენტარისა განისაზღვრება ამა დებულების მე-15 მუხლში გათვალისწინებული ინსტრუქციით.

3. საგზაო შრომის ბეგარაზე, ამა დებულების მე-4 მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, გაიწვევა სოფლად მცხოვრები ყველა მოქალაქე მამრობითი სქესისა 18-დან 50 წლამდე.

4. საგზაო შრომის ბეგარაზე არ გაიწვევა: ა) ის პირი, რომელმაც ავადმყოფობისა ან დაშავების გამო დაკარგა შრომის უნარიანობა სამუდამოდ ან დროებით; ბ) ის პირი, რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურშია წოდელი არმიისა და წოდელი ფლოტის მუდმივ ან ცალკებად ნაწილშია გ) ის პირი, რომელიც მუდმივ სამსახურშია სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში; დ) მუშა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმოსი და აგრეთვე ბოგანო-გლეხი, რომელსაც ამა თუ იმ ადგილას თავისი საკუთარი მეურნეობა არა აქვს; ე) ის პირი, რომელიც აღნიშნული ბეგარისაგან განთავისუფლებულია სათანადო საუბნო, სათემო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სხვა პატივსადები მიზეზის გამო.

5. საგზაო შრომის ბეგარავალდებულ პირს უფლება აქვს, უკეთუ ამა თუ იმ ადგილას საკმაო საჭირო მუშა-ხელი იქნება, რასაც საუბნო-სათემო-სადაირო აღმასრულებელი კომიტეტი განსაზღვრავს, თავისი პირადი შრომისა და ამა დებულების მე-2 მუხლში აღნიშნული ნატურალური ბეგარის მაგიერ სათანადო ფულადი თანხა გადაიხადოს.

შენიშვნა. საგზაო შრომის ბეგარის მაგიერ გადასახდელი ფულადი თანხების ნორმას განსაზღვრავს სათემო, საუბნო და სადაირო აღმასრულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელი კომიტეტი ამა თუ იმ ადგილას მუშა-ხელისა და მუშა-საქონლისათვის არსებული ქირის რაოდენობის მიხედვით და დაამტკიცებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი, ხოლო ავტონომიურ ოლქში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ივავისი დადგენილებით.

6. სამუშაო დღეთა უკიდურესი რიცხვი, რაც წლის განმავლობაში საგზაო შრომის ბეგარავალდებულ თვითეულ პირზე უნდა მოდიოდეს, არ შეიძლება აღემატებოდეს 7 დღეს საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით.

7. საგზაო შრომის ბეგარაზე არ შეიძლება გაწვეულ იქნეს ის მოსახლეობა, რომლის საცხოვრებელი ადგილიც 8 კილომეტრზე მეტ მანძილით არის დაშორებული სამუშაო ადგილიდან; განსაკუთრებულ შემთხვევაში ეს ნორმა შეიძლება გადიდებულ იქნეს 15 კილომეტრამდე სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით იმ პირობით კი, რომ სამუშაო ადგილას მუშებს მიეცეთ ბინა ღამის გასათევად.

8. მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარაზე გაწვევა არ შეიძლება ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო მუშაობის პერიოდში.

9. შრომის ბეგარა განხორციელდება ნაურობითი მუშაობის პრინციპის მიხედვით, ე. ი. თვითეული რაიონის მოსახლეობას დაეკისრება განსაზღვრული რაოდენობის საგზაო სამუშაო, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით; ამასთანავე საგზაო უბნები უნდა მიეწეროს ცალკე დასახლებულ პუნქტებს.

10. საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმა, რაც საგზაო შრომის ბეგარის გამოყენებით უნდა განხორციელდეს, შემუშავდება საგზაო მშენებლობის სათანადო სახარჯთაღრიცხვო განზრახულებასთან ერთად: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—ადგილობრივი ტრანსპორტის სათანადო რესპუბლიკანური სამმართველოს მიერ, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ (ავტონომიურ ოლქებში—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ) და განიხილება და დამტკიცდება არსებული წესისამებრ.

11. დამტკიცებული წლიური გეგმის საფუძველზე იმ საგზაო სამუშაოთა მოწყობა, რაც საგზაო შრომის ბეგარის გამოყენებით უნდა განხორციელდეს, და, კერძოდ, გადაწყვეტა საკითხებისა საგზაო უბნების განსაზღვრულ დასახლებულ პუნქტებზე მიწერისა, ბეგარაზე გასაწვევ პირთა რიცხვისა, სამუშაო გადანაკვეთის რაოდენობისა და მუშაობის ვადების შესახებ დაეკისრება: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის—ადგილობრივი ტრანსპორტის რესპუბლიკანურ სამმართველოს, სათანადო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—სათანადო აღმასრულებელ კომიტეტს.

ცალკე პირთა საგზაო სამუშაოზე გაგზავნა და მათი მუშაობის მორიგეობის განსაზღვრა მოხდება სათანადო სათემო, საუბნო და სადაირო აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით.

12. უკეთუ საგზაო შრომის ბეგარავალდებული პირი დანიშნულ დროს და ადგილას არ გამოცხადდება, მის მიერ გაცდენილი დღეები გადაიტანება ფულზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამა დებულების მე-5 მუხ. შენიშვნაში აღნიშნული ნორმის მიხედვით, რაც მას გადაჰმდება გადასახადთა გადახდევინებისათვის არსებული საერთო წესის თანახმად.

საგზაო შრომის ბეგარის შესრულებაზე უარისთქმა გამოიწვევს, აღნიშნული ფულადი გადასახდელის გარდა, პასუხისმგებლობას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი ამა თუ იმ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლისამებრ.

13. ამა დებულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ფულადი თანხის გადახდა, ნაცვლად პირადი შრომისა და ნატურალური ბეგარისა, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-2 მუხლში, მოხდება გადასახადთა გადახდევინების საერთო წესისამებრ და იმ ვადაზე, რასაც დაწესებს სათანადო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი.

14. ამა დებულების მე-12 და მე-13 მუხ. წესისამებურ შემოსული თანხა ჩაირიცხება საგზაო მშენებლობის სათანადო კრედიტების შესავსებად, მე-15 მუხლში გათვალისწინებული ინსტრუქციის წესის თანახმად.

15. მიენდოს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან) სამმართველოს, ა/კსფსრ შრომისა და ფინანსთა საპალხო კომისარიატებთან შეთანხმებით, გამოსცეს ერთი თვის განმავლობაში საერთო ინსტრუქცია ამა დებულების შეფარდებისათვის.

სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება ეძლევათ, აღნიშნული საერთო ინსტრუქციის საფუძველზე და ადგილობრივი ტრანსპორტის სათანადო სამმართველოსთან შეთანხმებით, გამოსცენ ხოლმე ადგილობრივი წესები ამა დებულების მე-4 მუხ. „ე“ პუნქტისა და მე-5, 8 და 11 მუხ. შეფარდებისათვის.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1584 №-ში 1927 წ. სექტემბრის 24-ს.

დადგენილება № 45 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

205. ა/კსფსრ-ში წყალთა მეურნეობის ორგანოების მიერ მოსაწყობ ნაგებობათა პროექტებისა და ძიებათა და გამოკვლევათა პროგრამების განხილვისა და დამტკიცების წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება.

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფსრ სახ. კომისართა საბჭ. საქ. მმართ. მოადგ. **ნ. სოკოლხკი.**

1927 წ. სექტემბრის 1. ტფილისი-სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულება ასკსფსრ-ში წყალთა მეურნეობის ორგანოებისმიერ მოსაწყობ ნაგებობათა პროექტებისა და ძიებათა და გამოკვლევათა პროექტების განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.

I. წყალთა მეურნეობის დარგში საჭირო სამუშაოთა შესრულების რაციონალიზაციისათვის შემოღებულ იქნეს შემდეგი წესი წყალთა მეურნეობის სამუშაოთა პროექტებისა და გამოკვლევათა პროგრამების განხილვისა და დამტკიცების შესახებ, რომელი პროექტები და პროგრამებიც უნდა განახორციელონ როგორც თვით წყალთა მეურნეობის ორგანოებმა უშუალოდ, ისე სამეურნეო ანგარიშის პრინციპზე მომქმედმა სხვა სახელმწიფო საწარმომ, კოოპერატიულმა ორგანიზაციამ, საყაციო საზოგადოებამ, კერძო საზოგადოებამ და კერძო პირმა:

1) ახალ ნაგებობათა და არსებულ ნაგებობათა კაპიტალური გადაკეთების პროექტება, ვიდრე სამშენებლო მუშაობა დაიწყებოდეს, თანამიმდევრობით უნდა გაიაროს შემდეგი სამი სტადია:

ა) სქემატიური პროექტისა;

ბ) წინასწარი პროექტისა;

გ) საბოლოო პროექტისა.

2) სქემატიური პროექტი უნდა აუშარავებდეს იმ მიზანს, რაც მიღწეულ უნდა იქნეს ახალი ნაგებობის მოწყობით და არსებულის კაპიტალური გადაკეთებით, უნდა აღნიშნავდეს დასახული მიზნის განხორციელების შესაძლებელ ვარიანტებს ამა თუ იმ ბუნებრივ-ისტორიულ და ეკონომიურ პირობებში და იძლეოდეს ამ ვარიანტების ტეხნიკურ და ეკონომიურ შეფასებას, იგი უნდა ნათელჰყოფდეს კავშირს განსაზღვრულ რაიონში ან ბასეინში წყალთა მეურნეობის განვითარების საერთო გეგმასთან და განსაზღვრავდეს იმ ძიებათა და გამოკვლევათა პროგრამას და ღირებულებას, რაც საჭიროა წინასწარი პროექტისათვის, აგრეთვე წინასწარი პროექტის შედგენის პროგრამას და ღირებულებას და პროექტის განხორციელების საჯარაუდო ღირებულებას.

3) წინასწარი პროექტი შედგენილ უნდა იქნეს დამტკიცებული სქემის საფუძველზე; იგი უნდა იძლეოდეს მასალას დასახული მიზნის ტეხნიკურად და ეკონომიურად გადამწყვეტ უაღრესად მიზანშეწონილი ვარიანტის არჩევისათვის და უნდა განსაზღვრავდეს საბოლოო პროექტის შედგენისათვის საჭირო ძიებისა და გამოკვლევის პროგრამას და ღირებულებას, აგრეთვე საბოლოო პროექტის შედგენის პროგრამას და ღირებულებას და პროექტის განხორციელების უფრო სწორ ღირებულებას.

4) საბოლოო პროექტი წინასწარი პროექტის მიღებული ვარიანტის დეტალურად შემუშავებული პროექტია, რომლითაც საბოლოოდ უნდა განისაზღვროს:

ა) ახალი ნაგებობის ან არსებული ნაგებობის კაპიტალური გადაკეთების სახარჯთაღრიცვო ღირებულება;

ბ) შესრულების წესი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მუშაობის წარმოების გეგმა და ეადები და აგრეთვე

დ) უშუალო ხელმძღვანელობა მუშაობის წარმოებისათვის და სამუშაო ნახაზების შედგენისათვის.

5) წინასწარი პროექტის შედგენა შეიძლება მხოლოდ სქემატიური პროექტის დამტკიცების შემდეგ, საბოლოო პროექტისა-კი—წინასწარი პროექტის დამტკიცების შემდეგ. სამშენებლო მუშაობის დაწყება ნებადართულია მხოლოდ საბოლოო პროექტის დამტკიცების შემდეგ.

შენიშვნა. ამ წესის გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ არა-რთული ნაგებობისა და გადაკეთებისათვის; ამ შემთხვევაში საბოლოო პროექტი შეიძლება სქემის შემდეგ იქნეს შედგენილი. აღნიშნული გამონაკლისის შეფარდების შესაძლებლობა თვითეულ ცალკე შემთხვევაში დადგენილ უნდა იქნეს სქემატიური პროექტის დამტკიცების დროს.

6) ახალ ნაგებობათა და არსებულ ნაგებობათა კაპიტალური გადაკეთების სქემატიურ პროექტს დაამტკიცებს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა ტეხნიკური საბჭო, ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს და აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის წყალთა მეურნეობის სამმართველოების წარდგენით—კუთვნილებისამებრ.

არც ერთი სამუშაო არ შეიძლება შეტანილ იქნეს საოპერაციო გეგმაში სქემატიური პროექტის დაუმტკიცებლად.

7) ახალ ნაგებობათა და არსებულის კაპიტალური გადაკეთების წინასწარი და საბოლოო პროექტები განიხილება და დამტკიცდება შემდეგი წესით:

ა. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა ტუხნიკური საბჭო განიხილავს და დაამტკიცებს:

ა) ახალი ნაგებობისა და არსებული ნაგებობის კაპიტალური გადაკეთების პროექტს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა საერთო ღირებულება 100.000 მანეთს აღემატება;

ბ) ახალი ნაგებობისა და არსებული ნაგებობის კაპიტალური გადაკეთების პროექტს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა საერთო ღირებულება 100.000 მანეთზე ნაკლებია, უკეთუ ეს პროექტი რამდენიმე რესპუბლიკის ინტერესს შეეხება;

გ) ახალი ნაგებობისა და არსებული ნაგებობის კაპიტალური გადაკეთების პროექტს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა საერთო ღირებულება 100.000 მანეთზე ნაკლებია—წყალთა ტეხნიკური საბჭოს ცალკე დადგენილებით სქემატიური პროექტის დამტკიცების დროს;

დ) ახალი ნაგებობისა და არსებული ნაგებობის კაპიტალური გადაკეთების პროექტს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა საერთო ღირებულება 100.000 მანეთზე ნაკლებია—რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა ტეხნიკური თათბირის დადგენილებით;

ე) ტიპიური ნაგებობის პროექტს, რომელი ნაგებობაც მასიური განმეორებისათვის აოის განზრახული.

ვ) იმ ტიპის ნაგებობის პროექტს, რომელიც ადგილობრივ პირობებში ნაცადი არ აარის, ან რომლის აშენებაც განზრახულია ისეთი მასალითა და მეთოდით, რაც ჩვეულებრივად არ გამოიყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების წყალთა ტეხნიკური თათბირები, კუთვნილებისამებრ, დაამტკიცებენ ახალი ნაგებობისა და არსებული ნაგებობის კაპიტალური გადაკეთების პროექტს, რომლის მიხედვითაც სამუშაოთა საერთო ღირებულება 100.000 მანეთზე ნაკლებია, იმ პროექტების გამოკლებით, რაც აღნიშნულია ა პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“, „ე“ და „ვ“ პარაგრაფებში).

შენიშვნა. სახარჯთაღრიცხვო თანხა მიეკუთნება მთლად იმ სამუშაოთა ჯგუფს, რომელნიც გათვალისწინებულ არიან დამტკიცებული სქემით და დაკავშირებულნი ერთმანეთთან დანიშნულებით ან შესრულების დროით—ამ სამუშაოთა ცალკე რესპუბლიკების ტერიტორიაზე მდებარეობისა და ფინანსიური წყაროების მიუხედავად.

8) ახალი ნაგებობისა და კაპიტალური გადაკეთების წინასწარი და საბოლოო პროექტი, რაც კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა ტეხნიკურმა საბჭომ უნდა დაამტკიცოს, შეიტანება აღნიშნულ წყალთა მეურნეობის სამმართველოში, კუთვნილებისამებრ, სათანადო რესპუბლიკების ეკონომიურ ორგანოთა დასკვნით.

9) პუნქტი ა) პროგრამა წყალთა მეურნეობის იმ ახალი ნაგებობისა ან არსებულის გადაკეთების სქემატიური პროექტის შესადგენად საჭირო ძიებისა და გამოკვლევისა, რასაც ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ორგანოები ასრულებენ, განიხილება და დამტკიცდება სამუშაოთა საოპერაციო წლიური გეგმის განხილვის დროს. პროგრამა იმ ახალი ნაგებობისა და არსებულის კაპიტალური გადაკეთების სქემის შესადგენად საჭირო ძიებისა და გამოკვლევისა, რასაც ასრულებს სხვა დაწესებულება, საზოგადოება და პირი, წარეღგინება განსახილველად და დასამტკიცებლად ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა ტეხნიკურ საბჭოს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების დასკვნითურთ—კუთვნილებისამებრ.

ბ) პროგრამა წინასწარი პროექტის შესადგენად საჭირო ძიებისა და გამოკვლევისა დამტკიცდება სათანადო სქემატიური პროექტის განხილვის დროს.

გ) პროგრამა საბოლოო პროექტის შესადგენად საჭირო ძიებისა და გამოკვლევისა დამტკიცდება წინასწარი პროექტის განხილვის დროს.

10) წყალთა რესურსების უფრო რაციონალური საერთო გამოყენების პირობების გამოსარკვევად წარმოებული ბუნებრივ-ისტორიული, ტეხნიკური და ეკონომიური დაკვირვებისა და გამოკვლევის შედგენილობას და პროგრამას, რესპუბლიკანური წყალთა ტეხნიკური თათბირების მიერ, კუთვნილებისამებრ, დადასტურების შემდეგ, განიხილავს და დამტკიცებს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს წყალთა ტეხნიკური საბჭო, სათანადო გეგმების განხილვის წესისამებრ გამოკვლევათა იმ საერთო სქემის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს წყალთა ტეხნიკური საბჭო ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმის განხილვის დროს.

11) უკეთუ გამოირკვევა, რომ დამტკიცებული სქემებისა და ძიებათა და გამოკვლევათა პროექტებისა და პროგრამების თვალსაჩინო შეცვლა აუცილებელია და ეს აუცილებლობა დასაბუთებულ იქნა, აღნიშნული ცვლილება შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხდეს მხოლოდ იმ ორგანოს ნებართვით, რომელმაც სქემატიური პროექტი ან ძიებათა და გამოკვლევათა პროგრამა დაამტკიცა, უკეთუ არის ამ ცვლილების აუცილებლობის სათანადო დასაბუთება, წარდგენილი იმ ორგანოს მიერ, რომელმაც თავდაპირველად შეიტანა პროგრამა დასამტკიცებლად.

II. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს და რესპუბლიკაკინურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს უფლება ეძლევათ ამა დებულების განსავითარებლად გამოსცენ ხოლმე სათანადო ინსტუქციები იმ კომპეტენციის ფარგლებში, რაც განსაზღვრულია მათ შესახებ არსებული დებულებით.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას"-ს 1584 №-ში, 1927 წ. სექტემბრის 24-ს.

დადგენილება № 43 აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

206. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების 20%-ით შემცირების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს;

1. დაევალოს კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ ყველა სავაჭრო, სამრეწველო და სხვა სახელმწიფო ორგანოს, აგრეთვე სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებას, რომელიც გატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რეგისტრაციაში,—თავიანი 1927-28 წლის სახარჯთაღრიცხვო დანიშნულებანი საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯებისათვის შეამციროს არა ნაკლებ, ვიდრე 20%-ით 1926-27 წლის ფაქტიურ ხარჯებთან შედარებით.

2. დაევალოს ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატს და სხვა უწყებას, რომლის გამგებლობაშიაც ზემოაღნიშნული ხასიათის საწარმო და ორგანიზაცია ირიცხება, და აგრეთვე ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—1927-28 წლის საფინანსო-საწარმოო გეგმების განხილვის დროს მტკიცედ იხელმძღვანელონ 1-ლ მუხლში აღნიშნული დირექტივი.

3. საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შემცირება უნდა მოხდეს ზემოაღნიშნულ ორგანოთა აპარატის ღირებულების გაიაფებით, რისთვისაც უმთავრესად შემდეგი ღონისძიებანი უნდა იქნენ განხორციელებულნი:

ა) მმართველობის აპარატის სტრუქტურის გამარტივება და შტატების შემცირება მუშაობის სისტემისა და მეთოდის გაუმჯობესების საფუძველზე;

ბ) წარვლინებათა რიცხვის მაქსიმალურად შემცირება და საწარვლინებო სასყიდლის წესის მტკიცედ დაცვა;

გ) სამსახურის საქმის გამო უმთავრესად მასიური მიმოსვლის საშუალებათა გამოყენებაზე გადასვლა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) იმ ხარჯის შემცირება, რაც დაკავშირებულია ყრილობებისა და თათბირების მოწვევასთან და მათთვის მომსახურეობის გაწევასთან;

ე) საუწყებო გამოცემათა ხარჯის მაქსიმალურად შემცირება;

ვ) მმართველობის ორგანთთა სადგომების შენახვისა და მომსახურეობის ხარჯის რეალური შემცირება;

ზ) სრულიად გაუქმება ყოველნაირი ხარჯისა, რაც ამა თუ იმ ორგანოს უშუალო მიზანთან არ არის დაკავშირებული.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს მომუშავეთა სამუშაო ხელფასის არსებული განაკვეთის შემცირება.

4. წინა მუხლებში აღნიშნული 1927-28 წლის ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების დანიშნულებათა შემცირება უნდა განხორციელდეს არა უგვიანეს 1927 წლის ოქტომბრის 1-ლისა, იმ ანგარიშით, რომ ეს ხარჯები 1927-28 წლის დამდეგიდან უკვე შემცირებულ დანიშნულებათა ფარგალში სწარმოებდეს.

5. დაეკისროს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს შეამოწმოს ამა დადგენილების 1—4 მუხ. შესრულება.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს:

ა) დაუყოვნებლივ გამოსცენ დადგენილებანი, სადაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს კომერციული (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სავაჭრო, სამრეწველო და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციისა და სახელმწიფო კაპიტალის მეტობით მომქმედ სააქციო საზოგადოებათა (რომელნიც ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს რეგისტრაციაში უნდა იქნენ გატარებულნი) მიერ ზემოხსენებულ ვადებზე 1—4 მუხ. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელება საადმინისტრაციო-საგამგებლო ხარჯების შესამცირებლად;

ბ) დაეკისრონ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოებს, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთა სამმართველოებს და სხვა უწყებებს, რომელთა გამგებლობაშიაც ზემოაღნიშნული ხასიათის საწარმო და ორგანიზაცია იერიცხება, და აგრეთვე ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და სახელმწიფო სავგემო კომისიებს ამა დადგენილების მე-2 და 5 მუხ. გათვალისწინებული დირექტივის განხორციელება.

7. მიენდოს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს, სათანადო პროფესიონალურ ორგანიზაციებთან ერთად, 2 კვირის განმავლობაში შეიმუშაოს საკითხები აპარატის რაციონალიზაციის გამო დათხოვნილი მომუშავეებისათვის გამოსასვლელი დახმარების მიცემის შესახებ თვიური სამუშაო ხელფასის 1—1½ რაოდენობით, დათხოვნილ მომუშავეთა ხელახალი მოშხადების შესახებ, რათა ისინი გამოყენებულ იქნენ კულტურულ-სოციალურ დაწესებულებათა და წარმოებითი საწარმოთა ოპერატიულ მუშაობაში, ამ მომუშავეთათვის შელავათის მიცემის შესახებ შრომის ბირეკის მეშვეობით სამუშაოზე გაგზავნის დროს, შელავათიანი ტარიფის შეფარდების შესახებ, როდესაც მომუშავე სამსახურის ერთი ადგილიდან გადაყვანილ უნდა იქნეს მეორე ადგილას, და აგრეთვე სხვა ღონისძიებათა შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათხოვნილოთათვის სამუშაოს მიცემის საქმეში და, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, წარუდგინოს ა/კსფარ სახალხო კომისართა საბჭოს პროექტი სათანადო დადგენილებისა.

ა/კსფარ სახ. კომისართა საბჭ. თავმჯდ. მოადგილე **ს. ლუკაშინი.**

ა/კსფარ სახ. კომისარ. საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

ტფილისი-სასახლე. 1927 წ. სექტემბრის 22.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1584 №-ში 1927 წ. სექტემბრის 24-ს.

დადგენილება ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირისა

207. მინქაფის სამშენებლო წვრილმანეულობის გადაზიდვისათვის 64 და 69 №№-რით გამოცემული ა/კ. რკ. გზ. ადგილობრივი ტარიფის მოქმედების ვადის განგძრობის შესახებ.

1927 წ. სექტემბრის 21.

№ 16/P.

ამიერკავკასიის რკინისგზის 64 (04) №-ის ადგილობრივი ტარიფი სამშენებლო მინქაფის წვრილმანეულობის წვრილ ნატეხებად გადაზიდვისათვის (ჯგუფი 41, პოზ. 18), რომელი ტარიფიც გამოქვეყნებულია გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს 1356 №-ში 1927 წ. ივლისის 20-ს და ტარიფების კრებულის 419 №-ში 9041 №-ის ტარიფად, და 69 (04) №-ის ადგილობრივი ტარიფი ვაგონების ფარის სარგებლობისათვის მინქაფის სამშენებლო წვრილმანეულობის სადგურ ანისიდან და ლენინაკანიდან სადგურ ბელიჯამდე დაზვინვით გადაზიდვის დროს, რომელი ტარიფიც გამოქვეყნებულია ტარიფთა კრებულის 430 №-ში 9392 №-ის ტარიფად, განგრძობილად ჩაითვალოს 1928 წლის ოქტომბრის 1-მდე სრულიად უცვლელად, ხოლო სამშენებლო მინქაფის წვრილმანეულობის გადაზიდვის მაქსიმალური რაოდენობა 64 (04) №-ის ადგილობრივი ტარიფით განისაზღვროს 700 ვაგონით.

ა/კ. რკ. გზ. გამგეობასთან არსებული საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის თავმჯდომარის მაგიერ **გვერდწითელი.**

საუწყებათაშორისო სატარიფო თათბირის საქმეთა მმართველის თან. ალმასარ. უფრ. ეკონომისტი **ვერდერევსკი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1584 №-ში 1927 წ. აგვისტოს 24-ს.